



ქვეყნის

1991
საგარეო
25
N 75 (10468)
შპსი 5 კაპ.

საგარეო ურთიერთობების სამსახური

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:
1. 38-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ამ უფლებას უზრუნველყოფს მეურნეობის სისტემა, საწარმოო ძალების ზრდა, უფასო და ფასიანი პროდუქციის სწავლება, შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა

სწავლება პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემითა განვითარება“.
2. 43-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო და ფასიანი სწავლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო განათლების ფართოდ

განვითარება ცხოვრებასა და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განვითარება; მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიებისა და შედეგების მიხედვით სკოლაში დედაენაზე სწავლის შესაძლებლობა.
2. ეს კანონი ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს - დამფუძნებელი საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ დებულების სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
1. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“.
2. დებულება „საქართველოს

რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“ სამოქმედოდ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აბაბი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 14 ივნისი.

თვალსაზრისი

დაყოვნებას არ ექვემდებარება

ურბანიზაციამ ბევრი თავსატეხი პრობლემა დააყენა დღევანდელი სოფლის წინაშე. სულ უფრო მწვავედება გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღების საკითხი. ამ და სხვა საქმეების გონივრულ მართვას თავი უნდა გაართვან სოფლის გამგებლებმა. ღრმად უნდა გვესმოდეს ყველას, რომ საქართველოს სიჯანსაღის, ერის ზნეობრივი სიწმინდის დეიტა სხვაზე მეტად ჩვენს გლეხკაცობაშია სიმძლავრე შემონახული. თავის დროზე სოფელი

დააინა ახალგაზრდების ქალაქად მიგრაციამ. ეს იყო სოციალურად საზიანო მოვლენა. მამაკაცისეული ფუძიდან გაუცხოებული, ქალაქური ყოფის უამრავი საცთუნებლით მოხიბლული ახალგაზრდა დღესაც ზანტად, ფეხათრევით მოდის სოფლისკენ ამ ტენდენციას წერტილი უნდა დაესვას. სწორედ ახალმა თაობამ უნდა აღორძინოს ქართული სოფელი, ჩვენი მარჩენალი მიწა. შე მივიჩნიოთ იმ აღმზიანებისა, ვინც ამ მომენტს ნიჰილისტურად

უყურებს. ისინი არაფრის გამკეთებლები არ არიან, შრომა ეზარებათ, — იტყვიან ხოლმე. არ არის ეს სწორი მსჯელობა. სოფელს თუ უფრო მეტად მივხვდეთ, მიწაზე კერძო საკუთრებას დავაქანებთ, ადგილებს სოციალურ პირობებს გავაუმჯობესებთ, ჯანმრავალი ახალგაზრდობა პირს იბრუნებს სოფლისაკენ. ვწაშს ქართული სოფლის ხეაღინდელი დღისა. სხვადასხვა თაობის აღამიანთა ერთიანი ძალისხმევით ერთობრად იმატებს ჩვენი ხეავი და ბარაქა.

როგორ ბერბადება,
პედაგოგი.

ჩანი—91

დ ა რ ჩ ე ლ ი

მეურნეობის კოლექტივი წინასწარი პროგნოზით მოსალოდნელ 1200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს ჩაებარებს მრეწველობას. დღეისათვის ჩაის ფაბრიკებს მიეყიდა 315 ტონა ნედლეული.

კრეფა ორგანიზებულად მიმდინარეობს ყველა ბრიგადაში. გარკვეული წარმატებები აქვთ № 7 ბრიგადის (ხელმძღვანელი გორა პიგევა) წევრებს. მათ 180

ტონის დამზადება იგადადებულა. დღემდე მოკრეფილი აქვთ 80 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან 70 ტონა კლონი ქართული „კოლხიდა“ ჩაბარდა ანსეულის მეურნეობას. კრეფის ტემპი მაღალია იმ ბრიგადებში, რომლებსაც დათვოლიდა. ნუკრი ნავეიშვილი და გოგლა ბიგევა ხელმძღვანელობენ.

ქალაქის საკრებულოს სესია

21 ივნისს ჩატარდა ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს პირველი მოწვევის მეორე სესია, რომლის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. საკრებულოს რეგლამენტის წაკითხვა;
2. კომისიების შექმნა;
3. სესიაზე შემოსული წინადადებების განხილვა. რეგლამენტის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი. სესიამ გადაწყვიტა შექმნას კომისია, რომელიც შეიმუშავებს რეგლამენტს. კომისიის შემადგენლობაში არჩულ იქნენ დეპუტატები გ. ჯახია, კ. მიქაია, დ. დავითულიანი, გ. შელია, ნ. მაღალაძე. სესიის გადაწყვეტილებით რეგლამენტის შემუშავებულ კომისიას დავადა დამუშავებული რეგლამენტი წარმოადგინოს 28 ივნისამდე.

პროკლამაცია: საზოგადოებრივი რეზოლუცია

მეხსელოთ, სანამ ღროა

ამჟამად საქართველოში მეტად მძიმე ვითარება შექმნილია. ათეული წლების მანძილზე ყურადღებაში უქცევდნენ, ანდა მოჩვენებითად, ვითომცდა გადაპირი სსიციოცხოლო პრობლემების მთელი წყება სავდრო ღრუბლებივით მოჭარდა. ყოველ მათგანს თავისი სადინარის პოვნა სჭირდება. ყოველ შემთხვევაში მათი გადაწყვეტის კიდევ დიდი ხნით გადადება ღამის კატასტროფის ტოლფასია.


რა აწუხებს დღევანდელ ქართველობას ყველაზე მეტად? ამაზე ერთნიშნა პასუხის გაცემა ძნელდება. არის საკითხები, რომლებიც ყოველდღიური ძალისხმევის ცენტრში უნდა იმყოფებოდეს. ავიღოთ თუნდაც დემოკრატიული პრობლემა. მოსაწონი და დამაინფორმებელი ის პრაქტიკული ნაბიჯები, რაც ამ მიმართულებით გადადგეს ინგირის, ჩხორის, კახათის, ნარაზენის, ახალსოფლის კოლმეურნეობების, ზედაქუჩის, წარაზენის მეურნეობების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „საქალაქმრეწვის“, ფაფურის ქარხნის, სარემონტო-მექანიკური კომბინატის და ზოგიერთი სხვა კოლექტივების მესვეურებმა. ჩემი სურვილია, ქალაქის ახალმა ხელმძღვანელებმა უფრო სისტემური ხასიათი მიანიჭოს ამ საკითხების მართვას. ვფიქრობ, ეს საშვილი-შვილო საქმე არ უნდა შეფერხ-

დეს, რამეთუ ამ მხრივ ქალაქსა და რაიონში გარკვეული გამოცდილება დაგროვდა.

მინდა შევეხო კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს, რომელიც არაერთგზის დასმულა სხვადასხვა დონის ოფიციალურ დონის ძიებებზე. ეს გახლავთ ეკოლოგიური სიჯანსაღისათვის ბრძოლის პრობლემა. ამ საქმეს მრავალი ასპექტი გააჩნია. საჭიროა მოსახლეობაში ეკოლოგიური კულტურისა და შეგნების ამაღლება. კონკრეტული, ქმედითი ზომები უნდა განხორციელდეს გარემოს გამაბუჭებელი სხვადასხვა წყაროების მხილებისა და მათი აღკვეთის თვალსაზრისით. მართალია, ამ მიმართულებით მიზანდასახულ და პრინციპულ მუშაობას ეწევიან რუსთაველის საზოგადოება, მწვანეთა კავშირი და სხვა პატრიოტული ძალები, მაგრამ იგი ჭერ კიდევ სრულეობით არ მოიცავს სასურველ მასშტაბებს. ამ მხრივ ყველაზე უნდა გააჩალოთ საყოველთაო ლაშქრობა. თითოეულ მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას მართებს იმის ღრმა შეგნება, რომ დედა-ბუნება განსაიდელშია და თუ გადაპრემი ზომები არ მივიღებთ, ჩვენივე გულგრილობა უბედურებად შემოგვიბრუნდება.

ა. ფიფია,
ხეივანი კონს.

საგარეო ურთიერთობების სამსახური



გარემო და ჩვენ

დაკვიცვით თევზი

განადგურების საგან

ზუგდიდის სარაიონთაშორის სახელმწიფო თევზაღვების ინსპექციის საკურორტო ზონა მოიცავს დასავლეთ საქართველოს მკვიდრად დასახლებულ რვა რაიონს, კერძოდ, ზუგდიდის, ხობის, სენაკის, ახალციხის, შარტავის, წალენჯიხის, ჩხორიჭყუისა და მესტიის რაიონებს თავის მდინარეებით, ტბებით, ტბორებითა და დელტებით, ასევე ზღვის ნილიან ზონას ფოთიდან შეროდ გადიდამდე. ყველაზე დიდი ზონა გააჩნია ზუგდიდის ინსპექციას, რომელსაც ემსახურება ოთხი სახელმწიფო ინსპექტორი და ერთი სპეციალისტი-იქტიოლოგი. მათი მუშაობა წარმართულია შემდეგი პრინციპების მიხედვით. წარმოება-დაწესებულებებისა და ინდივიდების მხრიდან ყოველგვარი გაბინძურების აღმოფხვრა წარმოება დაწესებულებებისა და ინდივიდების მხრიდან ინერტული მასალების უნებართვოდ ამოღების აღმოფხვრა, თევზის რეწვისათვის აკრძალული ზღვის ნილიან ზონაში ბრაკონიერების ძირითადი აღმოფხვრა, თევზების წესების დაცვის რეგულირება მდინარეებში, ტბებში და წყალსაცავებში; იქტიოლოგიური სამსახურის ფუნქციონირების რეგულირება—საჭიროთა და გამოსახარებელი ადგილებისა და ასევე წყლის იქტიოფაუნის შენარჩუნების მიზნით.

მუშაობა განხორციელდა და მიღწეულია გარკვეული შედეგები. ანგარიშგასაწვევია ის ფაქტი, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე ზუგდიდის ტერიტორიაზე არ ყოფილა თევზის მასიური გაწყვეტის, მოწვევლის არცერთ შემთხვევა, რაც შეეხება მდინარეთა და მდინარეების ფაქტებს რეგისტრირებულია 70-მდე ასეთი შემთხვევა, საჭირო მებტი, ვიდეო სხვა რაიონებში, 41 ინდივიდების მიერ, 29 შემთხვევა კი წარმოება-დაწესებულებების მიერ. ამის ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ნაგავსაყრდელის დროებით დაბურვა, ანგარიშგასაწვევია ის ფაქტიც, რომ წარმოება-დაწესებულებების თითქმის 80 პროცენტში განლაგებულია მდინარეებისა და დელტების კიდეებზე. ასევე მოხდებულია საქანალიზაციის სისტემა ვერ უზღუდეს არსებულ სიმძლავრეს და მოსალოდნელია ბინძურმა მასამ გაუფრინოს მდინარე ჩხოვში. ამ პრობლემის გადასაჭრელად მისაღებია უსწრაფესი ზომები. ხომ არ დადგა რა განხორციელებული იქნეს ამ წარმოებების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი. განა დასაშვებია ავტოკონსტრუქციის, ავტოსამრეცხავის, კვების ობიექტების, ფერმების, მომწოდებელი და ქიმიური ნივთიერებების გამოყენებელი წარმოებების მდინარის კიდეებზე ყოფნა, როცა საქანალიზაციის სისტემაში მათი უმრავლესობა არ არის ჩართული? ამის შესახებ

აღბათ, გასაკვირი არც არის, რომ მდინარე ჩხოვშიამ დაკარგა თევზსამურეო მნიშვნელობა. ანალიზური მდგომარეობა გვაქვს ინერტული მასალების უნებართვოდ ამოღების თვალსაზრისითაც. ზოგიერთი ზემოქმედებით ფაქტობდა, რომ ინერტული მასალის ამოღებაც თითქმის მდინარისთვისაც უკეთესი იყო, და სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე იძლეოდა ნებაართვის. ასეთივე შემთხვევა რეგისტრირებული დღეისათვის. ზღვის თევზჭერისათვის აკრძალული 5 მილიონ ზონაში ზუგდიდის ინსპექციას წესრიგის დასაცავად დახმარებას უწყვეტ ფორმას საზღვაო სამმართველოს ოპერატიული ჯგუფი. ინსპექციის ემსახურება აგრეთვე „საქსავ-ზღვათევზჭერის“ ვერტმფრენი. მომდინარე წლის I მაისიდან ქვირიტურის პროცესების დაწყებასთან დაკავშირებით თევზჭერის აკრძალვის პერიოდი დაიწყო. ბუნების დაცვის კონიტების, ბუნების დაცვის კომპლექსური დახმარების, მონადირეთა და მეთევზეთა კავშირისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად შეზღუდული ერთობლივი გეგმა არაერთ სასიკეთო ღონისძიების გათვალისწინებას გულისხმობს. ზუგდიდის ინსპექციის მოვლი შეზღუდულია მაქსიმალურად მობილიზებულია აკრძალვის პერიოდის ნორმალურად ჩატარებისათვის. სხვადასხვა სახელზე ინფორმაციებს ჩვენი გაზეთის მკითხველებს ხშირად მივაწვდილი.

რამაზ ჩაბარაძე,
ზუგდიდის სარაიონთაშორის სახელმწიფო თევზაღვების ინსპექციის ხელმძღვანელი.

ის დღეები სოფლად შრომა შვედა არ იკარგება

ჩაი ჩვენი არსობის ბურია. ეს კეთილმოწყობილი სოფლის ცენტრი, მკვირწყლელი შარაგზები, მაღალი გემოვნებით ნაგები ოდასახლები, კომფორტული მსუბუქი ავტომანქანები და სხვა სიკეთენი ჩაის წყლობით გვაქვს— აცხადებენ ნარაზენელი მშრომელები და ზრუნვას არ აკლებენ ამ კულტურას. ავტორტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტი დაცვით დამუშავებული ჩაის ბუნებები ვალში არ ჩივნიან მეჩაიეებს. სეზონის დაწყებიდან არც ისე დიდი დროა გასული, მაგრამ უკვე მოკრეფილია და გადაამუშავებულ მრეწველობას ჩაბარდა 730 ტონა ნელღეული. ახლა ყოველდღიურად ბლანტაციებში 350-400 მეტრეფი გადას, რომელიც 20-25 ტონა მწვანე ფოთლის ამზადებს. მოკრეფილი ფოთლიდან დიდი წილი (17-18 ტონა) ხელით საკრეფ მანქანებზე მოდის. ერთ კვირაში ნარაზენელები მოლიანად დაამთავრებენ პირველი ვეგეტაციის ფოთლის გადაღებას და დაიწყება ერთგვარი შესვენების პერიოდი. თუმცა შესვენების პერიოდი პირობითი სიტყვაა, თორემ საამუშაოს რა გამოუღებს მეჩაიეებს, დაიწყება მინერალური სასუქების შეტანა, ბლანტაციებში ბუნებებს შორის აქა-იქ ამოსული ბარდ-გელისა და გვიმრის გამოხელება. სეზონის დაწყების პირველი დღეებიდან აუღებულ წარმატებით ინარჩუნებენ პირველი და მეორე ბრავადების წრფივების ხელმძღვანელები გ.

ევაწია და გ. თოდუა მეჩაიეები.
წელს ნარაზენელები ითვალისწინებენ ჩაის წარმოებას აიყვანონ 3000 ტონამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის 50 პროცენტზე მეტი ამ კულტურიდან იქნება. ნარაზენში სოფლის მეურნეობის ყველა დარგი თანაბარ ყურადღებით არის გაზრდილი. მაგრამ მარცვლული მიანცსხვა არის. 200 ჰექტარზე დათესილი სამარცვლე სიმინდის ერთეულ ჰექტარზე 60 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობას უხვად ექნება მარცვლული თვის წყურბზე გასაცემად და მარტყვის გამოსაკებად. მიწტრულს უხვად ექნება სამარცვლელ დათესილი 200 ჰექტარის სამარცვლე სიმინდისა და 20 ჰექტარის სოთოს დამუშავება. მარცვლეულის უფრო მაღალი მოსავლის მიღების პირობას იძლევა ის ბრავადები, რომლებსაც მ. კერაბეული და ა. ბეჭავია უდგანან სათავსო. დაიწყო და ორგანიზებულია მიმდინარეობს სენაკის დამზადება და შერის აღება. უკვე ჩაღებულა 750 ტონა მწვანე მასა, მოთიბულია 100 ტონა შერია. სანიმუშოდა მოვლილი სასილონე ნაკვეთები, რაც იმის გაჩინებაა წელს მტკვლელებს უხვად ექნებათ ალგილობრივი წარმოების იაფი და ყუათიანი საკვები.

წარსულის ძეგლები

„ჩვენი საუკუნე ბიცავს, უახლესი“?

წლები, საუკუნეები... ისევ მტკიცედ უდგას ძირი, მხნედ აღდგომილი, შთაგონებით იყურება მის გარშემო გაშლილ მიწებზე-ომელ სივრცეში... რამდენი დიდებულ მასში ჩაქსოვილი ხელოვანთა თუ საუკუნეთა მიერ; რამდენი რამის მნახველი, მსმენელი არიან ეგ ბუმბუაში კედლები; რამდენი განუცდილი, გადაუტანელი...
და ოცდამეერთე საუკუნის მიჯნას მიღწეული, ვითარცა განვლილ დროთა მემკვიდრე დგას, თითქმის უცვლადგაბაში შენობებში-ჩიორ ბუნებას; სამას წელზე მეტია, რაც დგას ბერ-ციხე, ციხე-სიმაგრე „ჰაქვიანა“; დგას მღვმეგრედ, დაფორებით, თითქმის გაფრენილ საუკუნეთა ტვირთი მძიმედ დასწოლია განიერ მხრებზე...
ქალბა, თეთრწვერა, თეთრომიან, ახვან, პირმშენიერ, ღარბისხელ მოხუცს მოგვაცონებს, სიბრძნით რომ ქებულება და ყველასათვის საყვარელი.
ან როგორ დაბადებული იგი, ან ვის მიერ აშენებული? ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთ-დასავლეთით სამი კილომეტრის დაშორებაზე მიედინება ზღვის ხურნელით გაუღწეობი მდინარე ქანისწყალი. აქედან ახილულა თურმე ციხის საშენი მასალა მდინარედან ცხემლიდ იკოლბით. ზღვარს მწკრივში აღმიაწინებ

და აწვდიდენ ერთმანეთს უზარმაზარ ლოდებს. ერთის ხელიდან მეორის ხელში გადადიოდა ვიღა ლოდები და ბოლოს მაღალ გორის თავზე გროვდებოდა. შემდეგ, ჭერ ყოველივე ირგვლივ უწერს რგოდ ეყარა, მაგრამ „დახედა ოსტატის თვალმა, შეიბო ოსტატის ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, ავური ავურს წაეზოტინა; კედლებმა შხარი შისცეს ერთმანეთს“...
...და ცან მისწვდა ლოდები უცნაური ჰარმონია ცადატურცნილი და ცაშივე გაყინული სმარაღუამოდ...
და აი, სამას წელს გასცილებია ვიღა მოხუცთა.
თუმცა, რატომ მოხუცი? რატომ ბერციხე?
საქართველოში არის ათი და უფრო მეტი საუკუნის წინათ შექმნილი ძეგლებიც. ისინი არ დაბერებულა და არც დაბერდებიან. მართალია, შეიძლება ზოგს კიდევაც გამოუღვია ადრინდელი ძალა, ამიტომაც ვერ გაუმტო გავაფხულზე მომხდარ მიწისძვრას. მაგრამ ისინი მაინც არიან და იქნებიან, რამეთუ „ხელეონება თავად უკვდავება“.
რამდენი ომის მნახველია იგი, რამდენი ხისხლი დადგრილა აქ მის მიდამოებში, რამდენი ცულებიანთ...
ახლაც არა ერთხელ განუცდილი

ბრძოლა, არაერთი იერიში მოუტვირთებია.
ჩამოდიან ტურისტები საქართველოს ყოველი მხრიდან. შეეხვებიან ამ ციხე-ბურჯს, დაეუფლებიან ხასხელ-სანოვანთ, გარდაკვეთ მის კედლების სიწმინდეს ნახშირითა და ცარციით; და მერე გამარჯვებულნი საათობით როკავენ, ხორხობენ და კერპებს თავანთ სტომეებს სწირავენ... შემდეგ გაღეშილები ტოვებენ...
ტოვებენ და არავინა ამ ხასხელთა ბურჯისა და ყოველგვარი ნარჩენების გადაშრელი, ნახშირითა და ცარციით დაჭობნილი კედლების გამწმენდი.
და ახლაც ეგ დიდებული, მძლავრი ციხე-სიმაგრე ახალი იერიშების მოლოდინში...
სამასი წელი, მართლაც რომ ცოტაა ამ გოლიათისათვის, მაგრამ უკვე იგრევა, უკვე დარგვია დროის ყოვლის წარმწყვეტი ხელი...
ორი წლის წინ თითქმის დაიწყეს რეკონსტრუქცია, მაგრამ რა? „ხედა უხედა გულის სისხლს მართლაც საუასად, თუ მთელი ჩანი არ შეალიე ამ სასტიკ ბოშონს, არაფერი გამოგვივა ხელიდან“.
ირგვლივ სრული მღუმარება ბუნებაც მიჩუმებულია. ზოგჯერ ხოლმე შორს, გზაზე გამაჯალი

მანქანის გრუნუნდა თუ მოისმის.
შეგონება: „ერის დაცემა და გათხარება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.
ანტისიყვარული ისტორიული ძეგლებისადმი წარსულის არ დაფასება, მისი შეუცნობლობა, ხოლო ეს მივიწყების ტოლია. ახლაგვარ საშიშროებას არაერთხელ გადარჩენა ქართველი ერი და გადარჩება ახლაც...
ერთა ხაზისგან პიქტურად გადმოწირობა ციხე-სიმაგრე, ფართო შესასვლელ კარზე წარწერა: მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიული ძეგლი „ჰაქვიანა“.
„ერთა სიმაღლზე, ჩვენი საუკუნე გიყვას, უახლესი“.
დინარა კვარაყვანილი.

უბრალო პროფესიის აღმზინები

კვლავაც რუდუნებით

თუ ვინმე ითქმის: ფუტყარივით გამარჯ, დაუზარელი კაციაო, ყორა ლომიაზეც ითქმის. აბერ უკვე ოც წელიწადზე მეტია, რაც ქალაქის საბინაო კომუნალურ მეთურნეობის სისტემაში სანტექნიკოსად რომ მუშაობს. ჩინებულად ფლობს მოწინავე პროფესიებსაც. როგორც იტყვიან, ზუთი თათივით იცნობს ქალაქისა თუ რაიონის წყალკანალის შიგა ქსელს. იცის სად რა ჰერს, როგორ „უწამლოს“ დაზიანებებს...
იგი ახლა პენსიონერია, მრავალი ქილჯის კავალერი და შრომის ვეტერანი, მაგრამ ისევ ახალგაზრდული ენერჯით ემსხურება მინდობილ უხანს. და ის, რომ ვეტერანთა №20 სხეულადანაში, №1 საბაკაურისა თუ სხვა ობიექტებში სისუფთავე და წესრიგი სუფთებს, ეს სანტექნიკოსობის ფორა ლომიანს დიდად დასახურება. გარჯა მისი ღირსია მაღლობისა.
ბ. ალფინიძე,
№20 მაღაზიის გამგე.

